

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებანი, 1984 წ., №12, მუხ. 421) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 129¹ მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. თუ საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებისას (გარდა საბაჟო გამშვები პუნქტის (საბაჟო საგუშაგოს) გავლით საქართველოს ტერიტორიის დატოვებისა) ავტოსატრანსპორტო საშუალების თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და სრული მასა – 44 ტონას ან/და გადასაზიდი ტვირთის მასა – დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი (მესაკუთრე) თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ზედმეტი ტვირთის ჩამოცლას/დაშლადანაწილებას/გადანაწილებას (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მითითებულ დაცულ ადგილას), ტვირთის დაცვას/შენახვასა და შემდგომ ტრანსპორტირებას“.

2. 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” და “ბ” ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 157-ე, 165-ე და 195-ე მუხლებით – საგადასახადო ორგანოების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ თანამდებობის პირებს;

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 129¹-ე, 194-ე და 195-ე მუხლებით – ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფროსს და მის მოადგილეებს, სამმართველოს უფროსსა და მის მოადგილეს, რეგიონალური საბაჟოების უფროსებსა და მათ

მოადგილეებს, საბაჟო ორგანოების სხვა, სათანადოდ უფლებამოსილ პირებს, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სხვა უფლებამოსილ თანამდებობის პირებს“.

3. 239-ე მუხლის 33-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“33. ამ კოდექსის 157¹–157³ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ან ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები“.

4. 239-ე მუხლის 51-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“51. ამ კოდექსის 44⁴ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები“.

5. 239-ე მუხლის 52¹ ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“52¹. ამ კოდექსის 129¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევაში ქვეყნის საზღვრების შიდა სივრცეში ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო საბაჟო გამშვები პუნქტის (საბაჟო საგუშაგოს) გავლით ავტოსატრანსპორტო საშუალების ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლისას ან ტერიტორიის დატოვებისას – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები“.

6. 246-ე მუხლის “ე” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს, საბაჟო ორგანოებს, საგადასახადო ორგანოებს – საგადასახადო და საბაჟო სფეროში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევებში“.

7. 248-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. პირადი გასინჯვა შეიძლება აწარმოონ შინაგან საქმეთა, გასამხედროებული დაცვის, სამოქალაქო ავიაციის ორგანოების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის, საბაჟო ორგანოების, საგადასახადო ორგანოების და სასაზღვრო ჯარების საამისოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, ხოლო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევაში – აგრეთვე საამისოდ უფლებამოსილი სხვა ორგანოების თანამდებობის პირებმა“.

8. 248-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. ნივთების გასინჯვა შეუძლიათ აწარმოონ შინაგან საქმეთა, გასამხედროებული დაცვის, სამოქალაქო ავიაციის ორგანოების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის, საბაჟო ორგანოების, საგადასახადო ორგანოების, სასაზღვრო ჯარების, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, ხოლო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევაში – აგრეთვე საამისოდ უფლებამოსილმა სხვა ორგანოების თანამდებობის პირებმა“.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი